

Image not found or type unknown

საია აცხადებს ტენდერს კარტრიჯების შესყიდვის/დამუხტვის მომსახურების შესაძენად

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის დაფინანსების მთავარ წყაროს გრანტები წარმოადგენს.

ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ. გვერდზე:
<http://www.gyla.ge>

მომსახურების ობიექტი - ცალკეული სახის კარტრიჯების (ორიგინალი და ასევე არა ორიგინალი): CB435A/CB436A/CE285A; CE278A; 2612A; CF283X/CRG337; 05A; Canon-052; CF226A; CE255A შეძენა/დამუხტვა;

დამატებითი მოთხოვნები:

1. კარტრიჯი უნდა იყოს შეფუთული ტრანსპორტირების დროს დაზიანებისაგან და ნესტისაგან დასაცავად.
2. კარტრიჯები უნდა იყოს მარკირებული
3. წუნდებული კარტრიჯების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 2%-ს.
4. აღმოჩენილი ნაკლი უნდა გამოსწორდეს კონტრაქტორის ხარჯებით და ძალეობით.
5. კარტრიჯების დამუხტვა უნდა განხორციელდეს მაღალი ხარისხის მონწყობილობებით, საამქროში უნდა იყოს შესაბამისიპირობები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესყიდვის ობიექტის მონოდების ვადები - შესყიდვის ობიექტის მონოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

საქონლის მონოდების ადგილი: თბილისი, ჯ. კახიძის ქ #15 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ქსელური მაღაზიების არსებობის შემთხვევაში თელავში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდისა და ბათუმში საიას ოფისების შესაბამის მისამართებზე).

საქონლის ფასი: სატენდერო წინადადებაში კარტრიჯის ერთეულის შეძენისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მონოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

იხილეთ **ფაილი**

კარტრიჯის დამუხტვის ფასში, ზემოაღნიშნულთან ერთად უნდა იყოს ფიქსირებული და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს კარტრიჯის სრული აღდგენა, რაც ტონერის ფხვნილის შევსების გარდა გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაზიანებული დეტალის გამოცვლას (ფოტოდოლი, მაგნიტური ლილვი, PCR რეზინის ლილვი, გამწმენდი რაკელი, დოზირების რაკელი, ჩიპი, კორპუსი).

წარმოდგენილი ფასები უნდა მოქმედებდეს ერთი წლის განმავლობაში და არ ექვემდებარებოდეს გადახედვას (შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში).

ანგარიშსწორების პირობები: ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად განუელი მონოდების/ მომსახურების მიხედვით, დღგ-ს გარეშე ან დღგ-ს ჩათვლით.

ღირებულების შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

